შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება”



ელექტრონული ტენდერის

დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

იატაკის ფილების დაგების - (CPV-45431100)

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 121 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი
2014 წელი

სარჩევი

- ტექნიკური დოკუმენტაცია
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
- დანართი N1 რეკვიზიტები
- დანართი N2 ფასების ცხრილი.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტის მიერ სისტემაში უნდა აიტვირთოს შემდეგი სახის დოკუმენტები:
ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;
ბ) სამუშაოს საერთო ღირებულების ფარგლებში შედგენილი ხარჯთაღრიცხვა დანართი №2-ის მიხედვით. ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს პრედენდენტის დისკვალიფიკაციას ყოველგვარი დაზუსტების პროცედურების გარეშე, ხარჯთაღრიცხვა შედგენილი უნდა იყოს (მათ შორის ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების ზღვრული პროცენტული მაჩვენებელი უნდა განისაზღვროს) „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანების, ტექნიკური რეგლამენტის - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
გ) საგარანტიო ვადა (არანაკლებ 1 წელი) და პირობები.

2. ანგარიშსწორების პირობები:
2.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს გარეშე).
2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში.
2.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები:
3.1 სამუშაოების შესრულების (მიწოდების) ვადა არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადას. მიწოდების ადილია ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

4. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის
4.1 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.
4.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.
4.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
4.4 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

5.6 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

6. დამატებითი ინფორმაცია:
6.1. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ემა უზნაძე ტელ: (995 32) 248 73 38; ელ-ფოსტა: e.uznadze@airports.ge.

შენიშვნა: თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ხარჯთაღრიცხვის ხარისხთან შესაბამისობა შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე უნდა დაასაბუთოს დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

ქუთაისის დავით აღმასენებლის სახელობის საერთასორისო აეროპორტის ტერმინალში იატაკის ფილების დაგების ტექნიკური დავალება

№	სამუშაოთა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ადგილობრივი მოფრენის დარბაზში შესაცვლელია	ცალი	60	
2	საერთაშორისო მოფრენის დარბაზში შესაცვლელია	ცალი	32	
3	დასაგებია ფილა ზომით (120x60)	მ2	66.24	ფილას შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს

შენიშვნა:

შემსრულებელ ორგანიზაციის მიერ სამუშაოების ჩატარების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს აეროპორტის სამუშაო გრაფიკი.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ერთის მხრივ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება” (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ——— სახით და მეორეს მხრივ, ——————— (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ———————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ საჭიროებისათვის ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში იატაკის ფილების დაგება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ———————— ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. მომსახურების გაწევის ვადები:

სამუშაოების შესრულების (მიწოდების) ვადა არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადას. მიწოდების ადილია ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველსა და მომწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანხმლები დოკუმენტაცია.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების“ აქტი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 5.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. განახორციელოს ხარისხიანი მომსახურება.

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.2. „შემსყიდველი” ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული „მიღება–ჩაბარების“ აქტისა და დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა უფლებები
7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
7.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
7.2.1. განაცხადოს უარი ხარვეზიანი მომსახურების მიღებაზე.

8. ფორს-მაჟორი
8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
8.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. დავების გადაწყვეტა
10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.
10.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან

ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
12.1.ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა
13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
13.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ინსპექტირების პირობები
14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.
14.2. კოორდინატორის ფუნქციებია:
14.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
14.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება.

15. დამატებითი პირობები
15.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. გამოყენებული სამართალი
16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. დასკვნითი დებულებები
17.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
18.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
18.3. ხელშეკრულება შედგენილია ——გვერდზე, —— (———) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
18.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან” სამი ეგზემპლარი - `შემსყიდველთან”.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---

დანართი N1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დანართი N2

სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა

___ _____
(შევსების თარიღი)

სამუშაოს გთავაზობთ
_____ (_____) ლარად დღგ-ს გარეშე.
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	რაოდ.	მუშათა ხელფასი		მასალის ფასი		სულ ფასი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არსებული დაზიანებული ფილების ზომით 120 X 60 აყრა	ც	92					
2	ახალი ფილების ზომით 120 X60 დაგება წებო ცემენტის ნარევის გამოყენებით(ფილას დამკვეთი გადაცემს შემსრულებელს)	მ2	66.24					
ჯამი								
გეგმიური დაგროვება		%						
ჯამი								
ზედნადები ხარჯი		%						
ჯამი								
დღგ		18%						
ჯამი								

(პრეტენდენტის დასახელება)